



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბოვიანი ხაჩატურ



აბოვიან ხაჩატურ.

აბოვიანი ხაჩატურ (1805, სოფ. ქანაქერი, ერევანთან, – 1848), სომეხი მწერალი, განმანათლებელი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი. ახ. სომხ. ლიტ-რისა და ახ. სალიტ. ენის ფუძემდებელი.

სწავლობდა ემშიაძინში (1814–21), შემდეგ თბილისში, ნერსესის სემინარიაში, 1830–36 დერბტის (ტარტუ) უნ-ტში. სომხეთში ჩასულს რეაქციულ-კლერ. წრეები მტრულად შეხვდნენ. იგი თბილისში გადმოვიდა. 1837–43 მუშაობდა სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველად. 1843–48 ა. ერევანში ცხოვრობდა. 1848 წ. 2 (14) აპრილს სახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ა-მა თბილისში მოღვაწეობის წლებში (1836–41) შექმნა თავისი ძირითადი

თხზულებები: ისტ. რომანი „სომხეთის ჭრილობა“ (დაიწერა 1841, გამოქვეყნდა 1858), რიც ხალხთა შორის მეგობრობას ქადაგებს; ქართვ., აზერბ. და სომეხი ხალხების მეგობრობისადრია მიძღვნილი მოთხრობები: „უკანასკნელი გამოსათხოვარი მძლეუთა მძლე მეფე ერეკლეს“, „ხმა ღაღადისა...“, „აზარფეშა“, „თათრის გოგო“, „სონა - უბედური გოგო“ და სხვ.

თბზ.: 1. Երկերի լիակատար ժողովածու, հ. 1 – 10 Ե., 1947– 61; სომხეთის ჭრილობა, თბ., 1960.

